

# 18 სექტემბერი September

18:30

Fazil Say / piano

François Couperin (1668 – 1733)

21st Ordre in E Minor from Pieces de clavecin, Book 4

La Reine des coeurs (The Queen of Hearts)

La Bondissante (The Leaping)

La Couperin

La Harpee (The Harpy)

La petite Pince-sans-rire (The Little Tongue-in-Cheek)

Louis Couperin (1626 – 1661)

Suite in E Minor

Prelude

Allemande

Courante

Sarabande

Claude Debussy (1862-1918) Suite bergamasque, L. 75

Prélude

Menuet

Clair de lune

Passepied

Fazil Say (\*1970)

Troy Sonata, Op. 78

I Homer; The Bard Recounts

II Aegean Winds

III Heroes of Troy

IV Sparta

V Helen; Love

VI Troy

VII Achilles

VIII The War

IX Trojan Horse

X Epilogue

ფაზილ საი / ფორტეპიანო

ფრანსუა კუპერენი (1668 – 1733)  
პიესათა რიგი No. 21 მი მინორი, კრებულიდან  
„საკლავესინო პიესები“, ტომი 4  
La Reine des coeurs (გულების დედოფალი)  
La Bondissante (მხტომარე)  
La Couperin (კუპერენი)  
La Harpee (ჰარპია)  
La petite Pince-sans-rire (პატარა ხუმარა)

ლუი კუპერენი (1626 – 1661)  
სიუიტა მი მინორი  
Prelude  
Allemande  
Courante  
Sarabande

კლოდ დებიუსი (1862-1918)  
„ბერგამასკული სიუიტა“  
პრელუდია  
მენუეტი  
მთვარის შუქი  
პასპიე

ფაზილ საი (\*1970)  
ტროას სონატა  
I ჰომეროსი; პოეტი მოგვითხრობს  
II ეგეოსის ქარები  
III ტროას გმირები  
IV სპარტა  
V ელენე; სიყვარული  
VI ტროა  
VII აქილევსი  
VIII ომი  
IX ტროას ცხენი  
X ეპილოგი

## **ფრანსუა კუპერენი**

პიესათა რიგი No. 21 მი მინორი, კრებულიდან „საკლავესინო პიესები“, ტომი 4

კუპერენის „საკლავესინო პიესების“ ოთხი ტომი შეიცავს 230-ზე მეტ პიესას. პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1713 წელს, როდესაც კუპერენი უკვე 45 წლის იყო, თუმცა ბევრი პიესა შეიქმნა გაცილებით ადრე; ბოლო ტომი კი დაიბეჭდა 1730 წელს, კუპერენის გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე, მისი ავადმყოფობის დროს. პიესები დაჯგუფებულია სიუიტებად, ანუ რიგებად, როგორც კომპოზიტორი უწოდებდა მათ. თითოეული მათგანი შეიცავს ტრადიციულ ცეკვებსა და პიესებს აღწერითი სათაურებით. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის კომპოზიტორების უმრავლესობა მელოზმების - მელოდიური ხაზის შემამკობელი მოკლე მელოდიური მიმოქცევების - ინტერპრეტაციას მთლიანად შემსრულებელს ანდობდა; კუპერენმა კი დეტალურად გამოწერა ისინი, რამაც მისი „საკლავესინო პიესების“ ოთხი ტომი განსაკუთრებით საინტერესო გახადა მუსიკის მკვლევართათვის. პირველი და ბოლო ნაწილები რიგებში ერთი და იმავე ტონალობის იყო, მაგრამ სხვა პიესები შეიძლება სხვა ტონალობებში ყოფილიყო დანერგილი. „საკლავესინო პიესები“ არაერთი დიდი კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ იქცა; მათ შორის იყვნენ იოჰან სებასტიან ბახი, იოჰანეს ბრამსი და მორის რაველი - ამ უკანასკნელმა დიდი წინაპრის ხსოვნას საფორტეპიანო მუსიკის შედევრი, სიუიტა „კუპერენის საფლავი“ მიუძღვნა. საინტერესოა, რომ 21-ე რიგი შეიცავს პიესას, რომლის სათაურშიც კომპოზიტორის გვარია გამოტანილი. ითვლება, რომ აქ იგულისხმება კუპერენის მეუღლე, ან მისი ქალიშვილი, თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სათაურის მდებარეობით სქესის მიუხედავად, ამ პიესაში შესაძლოა აღწერილი იყოს თავად ფრანსუა კუპერენი.

## **ლუი კუპერენი**

სიუიტა მი მინორი

ლუი კუპერენი გარდაიცვალა მისი ძმისშვილის, ფრანსუა კუპერენის დაბადებამდე ექვსი წლით ადრე, 35 წლის ასაკში. „დიდი კუპერენისგან“ განსხვავებით (ამ მეტსახელით შეიყვანეს ფრანსუა კუპერენი ისტორიაში, რათა განესხვავებინათ იგი კუპერენების მუსიკალური ოჯახის სხვა წევრებისგან), ლუის მუსიკა არასოდეს გამოქვეყნებულა მის სიცოცხლეში. უფრო მეტიც, მისი შემოქმედების დიდი ნაწილი, შექმნილი კლავესინის, ორგანის, ვიოლების კონსორტისა და გუნდისათვის, დაიკარგა. გადარჩა მხოლოდ 215 პიესა, გაერთიანებული ორ ხელნაწერში, რომელთაგან არც ერთი დაუწერია თავად ლუი კუპერენს. როგორც სოლვეიგ პოლეთი წერს, „'პარვილის' ხელნაწერში ლუი კუპერენის პიესები შერეულია სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებთან. უფრო მომცველ 'ბეინის' ხელნაწერში კი დასაწყისში მოცემულია პრელუდიები, რომლებსაც მოსდევს პიესები დაჯგუფებული ცამეტი ტონალური ცენტრის ირგვლივ. არცერთ ხელნაწერში არ არის სიუიტები მოცემული იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი ლუი კუპერენის სიცოცხლეში შესრულდებოდა.“

## **კლოდ დებიუსი**

„ბერგამასკული სიუიტა“

საბედნიეროდ, დებიუსის „ბერგამასკული სიუიტა“ იმ თანმიმდევრობით სრულდება, რა თანმიმდევრობითაც დებიუსიმ ჩაიფიქრა იგი. კომპოზიტორმა მასზე მუშაობა 1890 წელს დაიწყო, თუმცა არ გამოუქვეყნებია სიუიტა 1905 წლამდე, ვიდრე საფუძვლიანად არ გადაამუშავა ის. ოთხნაწლიანი სიუიტის სათაური მიგვანიშნებს ბერგამოზე - უძველეს იტალიურ ქალაქზე. ბერგამო ითვლება არლეკინის - იტალიური „კომედია დელ არტეს“ ტაკიმასხარას - სამშობლოდ. ბაროკოს ეპოქაში „კომედია დელ არტე“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთში. ბაროკოს საცეკვაო სიუიტის მოდელზე შექმნილი „ბერგამასკული სიუიტის“ შთაგონების წყაროდ იქცა პოლ ვერლენის ლექსი "მთვარის შუქი". ლექსის პირველ სტროფში პოეტი ახსენებს ბერგამასკებს - ძველ იტალიურ ცეკვებს, დაკავშირებულთ ტაკიმასხარას სახესთან. აქვე აღწერილია ბალი, მისი შადრევნები, მოცეკვავეები და მთვარის შუქთან შერწყმული სიმღერები. სიუიტის ყველაზე ცნობილ ნაწილს დებიუსიმ სწორედ ამ ლექსის სათაური უწოდა.

საოცრად პოეტური "მთვარის შუქი" გარშემორტყმულია ცეკვებით შთაგონებული სამი ნაწილით, რომლებშიც იგრძნობა კუპერენისა და რამოს სული. ბაროკოს ეპოქის მუსიკის დიდი ფრანგი ოსტატები განსაკუთრებით აღაფრთოვანებდნენ დებიუსის.

### **ფაზილ საი** ტროას სონატა

"ფაზილ საის 'ტროას სონატა' მუსიკის საშუალებით გვიყვება ტროას ომის შესახებ, ისე, როგორც ეს ჰომეროსის 'ილიადაშია' გადმოცემული. ათ ნაწილად დაყოფილი სონატა მოგვითხრობს ამბებზე, რომლებმაც მიგვიყვანა ტროას ცხენის ქალაქში შეგორებამდე და ასევე შემდგომ მოვლენებზე; მუსიკა გაჯერებულია ჰომეროსის თქმულებაში მოყვანილი პერსონაჟების ამსახველი ლაიტმოტივებით და ემსახურება 'ილიადას' კონცეფციის გადმოცემას", - წერს გამომცემლობა Schott Music. ცნობილი თურქი პიანისტი და კომპოზიტორი ფაზილ საი კი ასე აღწერს თავის სონატას: "ამ ნაწარმოებში ყოველი ნაწილი ერთი თემის ირგვლივ ერთიანდება. დამატებით მოცემულია ფორმალური თემები - ლაიტმოტივები - რომლებიც მთელს ნაწარმოებზეა გადანაწილებული, აღნიშნავს რა ისეთ ეპიზოდებს, როგორცაა ბედისწერის ნაქარგი, ღამე, მენელაუსი, პარისი, მზე, აგამემნონი, ჰექტორი, გმირები და შფოთვა... მითის ჩემულ ინტერპრეტაციაში დიდი ადგილი არ უკავიათ ძველ ღმერთებს. რადგანაც სონატა წმინდა წყლის არავერბალური მუსიკაა, მე შევძელი დრამის აგება მისი მიწიერი ელემენტების გამოყენებით". სონატის მსოფლიო პრემიერა შედგა 2018 წლის 9 აგვისტოს, ჩანაკალეში (თურქეთი), ჩიმენლიკის ციხესიმაგრეში.

### **ამ დროს საქართველოში...**

საქართველო, მისი ისტორია და კულტურა ბერძნული მითოლოგიის განუყოფელი ნაწილია და პირიქით. კოლხეთი, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია როგორც არგონავტების ლეგენდარული მოგზაურობის დანიშნულების ადგილი, მედეას სამშობლო და ოქროს საწმისის ქვეყანა. იასონისა და მედეას ისტორია, აღსავსე, ტროას ომის ლეგენდის მსგავსად, სიყვარულითა და ღალატით, მრავალი ქართველი ხელოვანის შთაგონების წყაროდ იქცა. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია "მედეა", ოპერა ორ მოქმედებად, რომელიც ალექსი მაჭავარიანმა (1913-1995) ევრიპიდეს ტრაგედიისა და გუსტავ შვაბის წიგნის "ძველი საბერძნეთის ღმერთები და გმირები" მიხედვით 1991 წელს შექმნა.

### **François Couperin**

21st Ordre in E Minor from "Pieces de clavecin", Book 4

Couperin's four books of harpsichord works contain over 230 pieces. The first of the books was published in 1713 when Couperin was already 45, though many pieces were composed earlier. The last book was printed in 1730, three years before Couperin's death when he was suffering from an illness. The four collections are grouped into suites, or ordres, as Couperin termed them. Each of them contains traditional dances and pieces with illustrative titles. Unlike the majority of harpsichord music composers of the period who left the interpretation of ornaments to the discretion of the performer, Couperin indicated them in detail that makes the collections very important for music researchers. The first and last pieces in an ordre were of the same tonality, but the other pieces could be in other tonalities. "Pieces de clavecin" inspired many great composers, including Johann Sebastian Bach, Johannes Brahms and Maurice Ravel, the latter of whom composed Le Tombeau de Couperin (Couperin's Memorial) in memory of his great ancestor. Interestingly, the 21st Ordre contains a piece with Couperin's name in the title. The piece has been attributed to Couperin's wife and his daughter, though according to some researchers, despite the feminine gender of the title, in this piece could be pictured François Couperin himself.

## **Louis Couperin** Suite in E Minor

Louis Couperin died six years prior to the birth of his nephew François Couperin, at the age of 35. Unlike the works of Couperin le grand (as history nicknamed François to distinguish him from other members of musical Couperin Family), Louis' music had never been published during his lifetime. Furthermore, a large proportion of his music for harpsichord, organ, viol consort and choir was lost. Only 215 pieces survived and they are found in two manuscripts, neither of which was written by Louis Couperin himself. As Solvejg Pollett writes, "the 'Parville' manuscript mixes movements by Louis Couperin with music of other composers. In the more comprehensive 'Bayn' manuscript the Preludes appear together at the beginning, followed by groups of pieces based around the thirteen respective tonal centres represented. In neither manuscript are these Suites arranged in the order in which they would have been performed."

## **Claude Debussy** Suite bergamasque, L. 75

Fortunately, Debussy's Suite bergamasque is performed in the order the composer arranged it. He began composing his piano suite around 1890, though it was not published until 1905, after being significantly revised. The title of the four-movement suite alludes to Bergamo – the Italian city with ancient roots. Bergamo is considered to be the home of Harlequin, the buffoon of the Italian commedia dell'arte which became a very popular theatrical genre in France during the Baroque. The piece, modelled on the Baroque dance suite, was inspired by a poem "Clair de lune" by Paul Verlaine, who in the opening stanza refers to bergamasks – ancient Italian dances associated with buffoonery. The most famous movement of the suite bears the same name as Verlaine's poem that describes a garden, its fountains, promenading dancers and songs blended with the light of the moon. The poetic "Clair de lune" is surrounded by three dance-inspired movements reflecting the spirit and forms of Couperin and Rameau – great French masters of Baroque music admired by Debussy.

## **Fazil Say**

### Troy Sonata, Op. 78

"Fazil Say's Troy Sonata is a musical retelling of the Trojan War as written in Homer's Iliad. Separated into ten parts, the sonata recounts the events leading up to the giving of the Trojan Horse and its aftermath, tied together with leitmotifs representing characters present in Homer's story, as well as concepts associated with the work," write publishers Schott Music introducing the Sonata by Fazil Say, the leading Turkish pianist and composer. According to Say himself: "In this work, the movements have already been allocated their main themes. In addition, there are also formal themes – leitmotifs – which are spread across the work and are indicated at appropriate points in the music such as: Destiny Weaves, Night, Menelaus, Paris, Sun, Agamemnon, Hector, Heroes and Anxiety... in my interpretation of the myth, I have not given much space to the old gods. As this composition is pure, non-verbal music, I was able to construct the drama out of its earthly elements." The world premiere of the Sonata took place on 9 August, 2018, in Çanakkale (Turkey), in Çimenlik Castle.

## Meanwhile in Georgia

Georgia, its history and culture is a part of Greek mythology, and vice versa. Colchis, centered in present-day western Georgia, is known in Greek mythology as the destination of the Argonauts, the homeland of Medea and the land of the Golden Fleece. The story of Jason and Medea, full of love and betrayal, like the legend of the Trojan War, inspired numerous Georgian artists to create pieces of art. One of the most interesting examples is "Medea", an opera in 2 acts (after Euripides' play and Gustav Schwab's "Gods and Heroes of Ancient Greece"), composed in 1991 by Alexi Matchavariani (1913-1995).